ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი **26.08.2024 წელი**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: ვლადიმერ ნანაძე, გიორგი იმნაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, კარლო კვიტაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გოჩა ჯანაშია, გიორგი ჩახვაძე, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა
მომხრე 5; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა შპს ,,ბიბლუსის“ (ს/ნ -404908043) დირექტორმა ირაკლი გაგნიძემ, რომელმაც გამოთქვა მზაობა გააგრძელოს სამართლებრივი ურთიერთობა მერიასთან და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N103-სა და ჟორდანიას ქ. N105-ს შორის მდებარე 168 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.56.081) სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, გააფორმოს ახალი ხელშეკრულება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა, რომ შპს ,,ბიბლუსს“ (ს/ნ 205254892) ხუთი წლის ვადით, გადაეცეს მის მიერ მოთხოვნილი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით. მისივე განმარტებით, სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 50 400 (ორმოცდაათიათას ოთხასი) ლარიდან განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელიც შეადგენს 5040 (ხუთიათას ორმოცი) ლარს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 21 აგვისტოს N 30-302423427 განმარტებით ბარათთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილებას, კერძოდ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმას“ დაემატა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, სოფელ ჩოჩხათში (გულიანში) მდებარე 230 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.13.48.774).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა 2024 წლის აგვისტო დანართი 1

N	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ)	შენობის ფართი (კვ.მ)	შენიშვნა
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.02.41.004	865	394	
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიბათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული N1 (დანგრეული) და N 2 (დანგრეული) შენობა-ნაგებობები	27.09.46.282	7 889	N1 და N 2 შენობები დანგრეული	
3	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.52.670	300		
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლესა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით	27.10.46.434	1034	407,794	

5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი გვიმბალაური	27.08.47.022 კოდზე არსებული შენობა-ნაგებობები	27.08.47.022		N 1- 909,30 N 2- 11.90	
6	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.890	41 236		
7	ქ.ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.893	42 649		
8	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.895	282 489		
9	ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქუჩა N 9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.06.52.438	576	146	
10	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ს სოფელ ჭანჭათში	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.03.42.004	225		
11	ქ. ლანჩხუთი თამარ მეფის მე-2 შესახვევი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.53.309	107		
12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩოჩხათი (გულიანი)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.13.48.774	230		

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების გეგმა 2024 წლის აგვისტო დანართი 3

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	სწყისი ღირებულება (ლარებში)	შენიშვნა
1	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი აცანა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.02.41.004	27 528	
2	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩიბათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზედ განთავსებული N1 (დანგრეული) და N 2 (დანგრეული) შენობა-ნაგებობები	27.09.46.282	154 703	
3	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.52.670	7500	
4	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ლესა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა - ნაგებობით	27.10.46.434	71 799,4	

5	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი გვიმბალაური	27.08.47.022 არსებული შენობა-ნაგებობა N 1 და შენობა-ნაგებობა N 2	27.08.47.022	შენობა-ნაგებობა N1-18186 შენობა-ნაგებობა N 2-238 საერთო ღირებულება - 18 424	
6	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.890	403 700.44	
7	ქ. ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.893	417 533,71	
8	ქ.ლანჩხუთი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.48.895	2 593 249,02	
9	ქ. ლანჩხუთი ნინოშვილის ქუჩა N 9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	27.06.52.438	43 960	
10	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათში	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.03.42.004	2 520	
11	ქ. ლანჩხუთი თამარ მეფის მე-2 შესახვევი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.06.53.309	4100	

12	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩოჩხათი (გულიანი)	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	27.13.48.774	2300	

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა წარმოდგენილი სახით შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 46-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად, შესაბამისი ინფორმაცია კი გამოქვეყნებული უნდა იქნეს არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ხსენებული 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია ის ობიექტები, რომლებზეც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. მერიის მიერ განისაზღვრა ის ობიექტები, რომლებზეც სააგიტაციო მასალის გაკვრაა შესაძლებელი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46–ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. გამოიყოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით განსაზღვრული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 3. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა აკრძალულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე: ბაგა ბაღების შენობა-ნაგებობებზე, საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, ა(ა)იპ-ების შენობა-ნაგებობებზე, საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 4.

1. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

2. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

3. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების გათვალისწინებით:

ა). სკვერში არსებულ მწვანე ნარგავებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი პლაკატი ერთ ნარგავზე;

ბ). გარე განათების ბოძზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას ერთი პლაკატი;

გ). მოსაცდელებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს ორი ცალი პლაკატი.

მუხლი 5. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს, საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 7. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დანართი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავი და გამოსაფენი ადგილები.

N	მისამართი	დანიშნულება	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (თეატრიდან,საკადასრო კოდამდე 27.06.56.019)	სკვერი	27.06.56.014	
2	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ჟორდანიას და კვირკველიას ქ. კვეთა)	სკვერი	27.06.51.029	
3	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (სუპერმარკეტ „ლიბრესა“ და „მარგის“ წინ)	სკვერი	27.06.51.010	

4	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (კვირკველიას 16 გ) (ჟორდანიას და კვირკველიას ქ. კვეთა)	სკვერი	27.06.51.282	
5	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ცენტრალური სკვერი)	სკვერი	27.06.56.856	
6	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (მერიის წინ მდებარე სკვერი)	სკვერი	27.06.52.008	
7	ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. (ყოფილი „უნივერმაღის“ მიმდებარედ)	სკვერი	27.06.51.394	
8	გვიმბალაური (ბენზინგასამართ სადგურ „სოკარის“ მიმდებარედ)	სკვერი	27.08.47.006	
9	შუხუთი (ყოფილი კულტურის სახლის მიმდებარედ)	სკვერი	27.05.46.023	
10	ჩიბათი (საჯარო სკოლის პირდაპირ)	სკვერი	27.09.50.011	
11	მამათის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
12	აცანის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
13	აკეთის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
14	ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
15	შუხუთის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
16	მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		

17	გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
18	ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელი		
19	ლესის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
20	ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
21	ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
22	ჩოჩხათის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
23	ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
24	სუფსის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
25	ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეული	მოსაცდელები		
26	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ელექტრო ბოძები		

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №11

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 აგვისტოს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,ბიბლუსისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.08. 2024 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 55	
2	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
5	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
6	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	